საქართველოს ძლიერება გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№147 (6372) 8 დეკემბერი შაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინისა და საქართველოს შეთანხმება

კიევი, 30 ნოემბერი. (უკრაინფორმ-საქდესის კორ). უკრაინისა რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობას განმტკიცებას შეუწყობს ხელს შეთანხმება 1991-1995 წლების ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც მოაწერეს ხელი უკრაინის დედაქალაქში.

უკრაინა და საქართველო კისრულობენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და სხვა სამეურნეო სუბიექტებს შეინარჩუნონ, დაამყარონ და გააფართოონ პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა, ნედლეულის, პროდუქციისა და მომსახურების დარგში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის გათვალისწინებით, აგრეთვე შეავსონ ხელშეკრულებათა მიხედვით დაშვებული უკმარმიწოდება. მხარეებმა დათქვეს, რომ გაისად ურთიერთანგარიშსწორებას აწარმოებენ საბჭოთა მანეთობით საპრეისკურანტო ან სახელშეკრულებო ფასების ბაზაზე.

დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომლობას საერთო-ეკონომიკური პრობლემების, საფინანსო-საკრედიტო სისტემის, სოფლის მეურნეობის, სოციალური სფეროს, ეროვნული კულტურის, მეცნიერების, ეკოლოგიის, მოსახლეობის მიგრაციის, სამართლებრივი დახმარების დარგში და სხვა.

მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ მათი მმართველობის ტერიტორიული ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და სხვა სამეურნეო სუბიექტები პროდუქციის ურთიერთმიწოდების ხელშეკრულებათა დადების დროს, რომლებსაც გარკვეული შეზღუდვები აქვთ, გაითვალისწინებენ მათ გატანას ან შემოტანას მხოლოდ ორივე მთავრობის კომპეტენტურ ორგანოთა ნებართვით.

## თენდება დროშით სამფეროვანით

(ახდენილი ზმანება)

„რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს".

მარკოზი.

ზმანებად მახვევს ერის განსაცდელს
აგვისტოს ხვატი, ვითარც ზღვაური,
და ლაბირინთებს სულისას არხევს
ამურის ფრთათა ჩქამი-ხმაური.

კრძალვით შევცქერი ჩვენს სალოცავებს.
წმინდა სამებას ადგას ნათელი,
იქ, ქაშუეთით ვილაც მეძახის
—აუნთე მამულს თაფლის სანთელი!

ნათდება, ვხედავ დედა ღვთისმშობელს,
ძუძუ რომ ტკივა ჩვენი ტკივილით,
ცის კაბადონზე ელავს თამარი,
ღმერთს ევედრება ლოცვა-ტირილით:

„—ღმერთო, დალოცე ჩემი ივერი,
ნუ დაუძვირებ ღიმილის დღეთა..
შენ შთააგონე, გაიმარჯვებენ
თუ დადგებიან მხარდამხარ, ერთად.

შენ გამიმრავლე და დაიფარე
ერის კაცნი და ერის ლიდერნი,
თავისუფლების გზაზე მოუსპე
კურიტთა როკვა, ურცხვნი, ფლიდები.

ღმერთო, გვასწრაფე თავისუფლება,
დაგმე ბოროტი და უფრო მეტი—
მუშტად შეკარი ქართველი ერი,
წინ დაუყენე ის ნათლის სვეტი"!

თითქოს ისმინა ლოცვა უფალმა,
არილთან ნდომით ცეკვავს სანთელი...
სამებით მოდის ნელა, ტაატით
და თავს ეხვევა ზვიადს ნათელი.

თენდება დროშით სამფეროვანით
მზეს ეგებება მთაცა და ველიც
და საქართველო—ჩემი ბერმუხა
შრიალებს მტკიცედ, შეურყეველი!

დ. ჩორგოლიანი.

## მეორადი ნედლეული — იაფი პროდუქცია

### ბეგმას 65 ტონა აკლია

ჩვენს კრიზისითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მრეწველობისათვის ჯართის მიწოდებას.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 11 თვეში ლითონჩამბარებელთა მოუქნელი და არადამაკმაყოფილებელი მუშაობით რესპუბლიკას 45 ათასი ტონა შავი ლითონი დააკლდა, რამაც რესპუბლიკის სამრეწველო ორგანიზაციათა დიდ ნაწილს მთლიანი გაჩერების საფრთხე შეუქმნა.

ჩვენი რაიონის ლითონჩამბარებლებმა მიმდინარე წელს რესპუბლიკის მძიმე მრეწველობას 491 ტონა შავი ლითონი უნდა მიაწოდონ. წლიური გეგმის შესრულებაში მონაწილეობს 28 წარმოება-დაწესებულება, რომელთაგან წლიური გეგმა უკვე შესრულებული აქვს თითქმის უმრავლესობას, კერძოდ, ღვინის ქარხნის, კულტურის განყოფილების, საგზაო სამმართველოს, 23-ე საგზაო სამმართველოს, პროფსასწავლებლის, კინოფიკაციის, რაიკოოპერატივის, სასურსათო კომბინატის, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო საბჭოსა და სატყეო მეურნეობის ლითონჩამბარებლებს. მათგან ყველაზე დიდი რაოდენობის ლითონი ჩაბარებულია №23 საგზაო სამმართველოს (60 ტონა), რაიკოოპერატივის (90 ტონა) და საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს (31,1 ტონა) მიერ.

წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გეგმის შესრულების მიზნით მეტი ძალისხმევა მართებთ ავტოსატრანსპორტო საწარმოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, სახელმწიფო სატყეო მეურნეობის, ადგილმრეწველობის კომბინატის, რკინა-ბეტონის ქარხნის, სარემონტო კანტორისა და რაიონის სხვა საწარმოების ლითონჩამბარებლებს.

სულ დღეისათვის რაიონის წარმოება-დაწესებულებების მიერ ჩაბარებულია 426 ტონა შავი ლითონი, გეგმის შესრულებას 65 ტონა კიდევ აკლია.

წლის დამლევამდე არც თუ ისე დიდი დრო დარჩა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ რესპუბლიკის მრეწველობას რაიონის ლითონჩამბარებელთა კუთვნილი ლითონი არ დააკლდეს.

## ჩვენ და დღევანდელობა

### სოფლის სამსახური ერის სამსახურია

დღეს, სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის ყველაფრის გადაფასება ხდება. ასეთ ვითარებაში ყველაზე დიდ სკეპტიკოსაც კი არ ეპარება ეჭვი, რომ დადგა მრავალჭირნახული საქართველოს გაჭირვებიდან თავის დახსნის დრო. ეს დრო ერისთვის თავდადებული მრავალი ქართველის თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგია. ამ ბრძოლამ მოიტანა დემოკრატიული არჩევნები საქართველოში, ამ ბრძოლამ აგვარჩევია ნამდვილად საქართველოს ინტერესებისათვის მებრძოლი უზენაესი საბჭო.

დღეს ვისაც საქართველოს ტკივილები ტკივა, ვისაც თავისი ქვეყანა ნამდვილად უყვარს, ყველას ვალია ამოუდგეს მხარში ახალ პარლამენტს იმ დიდ და რთულ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა ჰქვია.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ სულისკვეთებით არიან განმსჭვალული ზუბის სასოფლო საბჭოს მშრომელები. ამის დადასტურებაა 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები ამ რეგიონში. ამომრჩეველთა 80 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა საარჩევნო ბლოკს: „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო". ჩვენი მოსახლეობა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კოლმეურნეობებისა და მეურნეობების გაუქმებისათვის დაწყებულ ბრძოლას. სწორედ ამის გამო იყო, რომ პირველივე კრებაზე, რომელიც გლეხური მეურნეობის შექმნის საკითხებს მიეძღვნა—ერთსულოვანი აზრი იქნა გამოხატული. ეს აზრი შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: საბჭოთა მეურნეობას არ შეუძლია უპატრონოს მიწას. თუ გლეხს ექნება მიწის ნაკვეთი საკუთარ გამგებლობაში, მაღალ მოსავალს მოიყვანს, ეს კი დამოუკიდებელ საქართველოს დიდად სჭირდება.

გლეხური მეურნეობის პირველი შედეგები ასეთია—წელს ოყურეშის ღვინის ქარხანას 397 ტონის ნაცვლად 440 ტონა ყურძენი ჩაბარდა, ხილი კი—468 ტონის ნაცვლად 745 ტონა. ხილის დამზადება ჯერ კიდევ გრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბიუროკრატიული მმართველობის გამო შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისაგან დაბრკოლებები იქმნებოდა მოსახლეობის სოციალური საკითხების გადაწყვეტის საქმეში, ამ მხრივ ბოლო წლებში მაინც ბევრი რამ გაკეთდა ზუბის სასოფლო საბჭოს რეგიონში. ასე, მაგალითად: აიგო ახალი საშუალო სკოლა, მაღაზია, პურის საცხობი, მედ. პუნქტი, კავშირგაბმულობის განყოფილების შენობა. კეთილმოეწყო ცენტრალური სამანქანო გზა ზუბსა და ისუნდერში, აიგო სამანქანო ხიდები ამავე სოფლებში. მალე დაიწყება წყალსადენის მშენებლობა სოფელ ზუბში. მიმდინარეობს და მალე დამთავრდება ზუბ-ისუნდერის შემაერთებელი სამანქანო გზა. ფუნქციონირებს ბაგა-ბაღი და ა. შ.

მაგრამ ჩვენს სოფლებში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. მაგალითად: აუცილებელია „ჩეროს" უბნის გზის შეკეთება სოფელ ზუბში, მახურის მაღაზიის შეკეთება, სავალალო მდგომარეობაშია ელექტროგადამცემი ხაზები. გაისად აუცილებლად უნდა დაიწყოს სასოფლო საბჭოს შენობის მშენებლობა.

პ. ფუტკარაძე,

ზუბის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ გავახარებთ მტერს

**ქართველმა ხალხმა** გულის კარნახით, გონიერებით გამოხატა საკუთარი ნება და პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში ნდობის მანდატი გადასცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს—საარჩევნო ბლოკს—„მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“.

ქართველმა ერმა გამოამჟღავნა თავისი პოლიტიკური სიმწიფე, ეროვნული შეგნება, ღირსება და დაამტკიცა, რომ მზად არის საქართველოს სრული თავისუფლებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, პირველ სასიკეთო ნაბიჯებს დგამს, იმედითა და მადლით შემოგვაშუქა, მაგრამ არავის გვეშლება, რომ გოლგოთა ჯერაც წინაა, რომ პირველი გამარჯვება დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო რთული და ხანგრძლივი ბრძოლისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ერის ერთსულოვნებამ და გონიერებამ. უზენაესმა საბჭომ თავის პირველსავე სესიაზე აქცენტი გადაიტანა შემწყნარებლობაზე, იმაზე, რომ მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს, ვაკეთოთ ჭეშმარიტად ეროვნული საქმეები.

მისი ერთ-ერთი პირველი დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების გადაუდებელ ამოცანებს მიუძღვნა. ამით საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მისთვის არ არსებობს უფრო დიდი სხვა საზრუნავი, ვიდრე თითოეული ქართველის სიცოცხლე და სიმშვიდე, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება.

მაგრამ ამ ჰუმანური პრობლემების გადაწყვეტა იოლი საქმე როდია. მძიმე და ძნელი იმიტომაც, რომ უზენაესმა საბჭომ ძალზე მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა. მას წილად ხვდა ურთულესი მისია წაღმა შემობრუნოს უკუღმა მბრუნავი საქართველოს ბედი, ეგზომ ნანატრი თავისუფლების მიღწევას დასჭირდება არა მარტო მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევა და ვაჟკაცობა, არამედ მთელი ქართველი ერის მხარდაჭერა და თანადგომა, სიმტკიცე, ანთებული გული და შორსმჭვრეტელი გონება, ამ დროს საქართველოში საგანგაშო მასშტაბები მიიღო დანაშაულობებმა.

ცხოვრების სტაბილიზაციაში განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებდით ქართულ მილიციაზე, რომელმაც მშრომელ ხალხს თავისი ერთგულება 9 აპრილის სისხლიან დღეებში დაუმტკიცა, შემდგომ მოხდა მისი დეპოლიტიზაცია, დადგა ჟამი კანონის უზენაესობისა, მაგრამ არნახულად მომრავლებულმა შეიარაღებულმა ელემენტებმა თვით მილიციაზე მიიტანეს იერიში, ხდება შეიარაღებული თავდასხმები, სამწუხაროდ, იარაღის გატაცება, დაჭრა. ამას ემატება ადამიანთა ძარცვა, ყაჩაღობა, გატაცება. სამწუხაროდ, მომწიფდა აუცილებლობა მიღებულ იქნას კანონი სამართალდამცავი ორგანოების სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების გარანტიის შექმნის თაობაზე.

ამ დღეებში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, პირდაპირ ფსიქოზშია ადამიანები, ღამით გარეთ ვერ გამოსულან, დედებს თვალზე ძილი გაგვკრთომია და ღმერთს დაჩოქილი ვევედრებით, გადამირჩინეთ ერი და საქართველო.

რა მოგვდის ხალხო, კმარა! გვეყოფა გაღებული მსხვერპლი, დაძაბულობა, დაწყდა ნერვები, დავიღალეთ, ტანთ მოვიკლოთ, ფეხთ მოვიკლოთ, ეკონომიკურ ბლოკადასაც მომზადებული შევხვდეთ, ყოველგვარ დათმობაზე წავიდეთ, ოღონდაც ერთმანეთს ნუ დავხოცავთ.

თითოეულ ჭეშმარიტ ქართველ' დიდი საფიქრალი გაგვიჩინა მხედრიონის წევრთა აქციამ—შიმშილობამ, რომელ ქართველს არ შეაშფოთებს ის, რომ ახალი მთავრობა ჯერ არ მოსულა სათავეში და ახალგაზრდები უკიდურეს პროტესტს—შიმშილს უცხადებენ. განა არ შეიძლებოდა ამ აქციის გარეშე ურთიერთშეთანხმება, აზრების შეჯერება, სიმართლის დადგენა? განა ჩვენთვის ყველასთვის არაა ცნობილი, რომ ეს ძალიან აწყობს იმპერიას, ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს, ვის ვაბრაგუნებინებთ მკერდზე მუშტს ნიშნისმოგებით, ცენტრსაც ეს უნდა—ცალ-ცალკე გათიშულები ხერხემალში გადაგვტეხოს. რისთვის დავღვარეთ მოწამებრივი სისხლი? თუ ერთმანეთის პატიება არ შეგვეძლო, თუ ერთმანეთის სიცოცხლე არ გვსურდა, აბა, თავისუფალი საქართველო ვისთვისღა გვინდა?

პოზიცია საჭიროა, არც არავინ უარყოფს, არავინ გვიშლის გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება. შეცდომებისაგან ვინაა დაზღვეული, ან კიდევ რომელი მიწიერია უცოდველი ამ ქვეყანაზე, მით უფრო სოციალურ უსამართლობაში განვვლეთ ათეული წლები—ნერვები დაჭიმული გვაქვს და ამას გამოვხატავთ ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში, ოჯახში, სამსახურში, ქუჩაში, ყველგან, მაგრამ ამ განსაცდელის ჟამს უფლება არა გვაქვს არ მოვუხმოთ ჭკუას, არ შევუნდოთ ერთმანეთს, ჰირსაც წაუღია პირადი წყენა და ამბიციები, ოღონდაც გავუფრთხილდეთ სისხლისგან დაცლილ საქართველოს, სანუკვარ მიზანს, თავისუფლებას, ვაკეთოთ ის, რაც ერს სჭირდება. საქართველოში არამც და არამც არ უნდა გამეორდეს კომენდანტის საათი. სიყვარული და ერთობა თუ გადაგვარჩენს მხოლოდ.

მ. ქნელაძე.

# სიგნალი, პასუხი, კომენტარი

**რედაქციაში ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა:**

სოფელ ალპანაში რამდენიმე თვეა არ შემოსულა თხევადი გაზი. აქამდე გაზის ბალონებით ამბროლაურის გაზის სამსახურის მანქანები გვამარაგებდნენ. ახლა ისინიც აღარ გვიტოვებენ. მივაკითხეთ ცაგერის გაზის კანტორას, სადაც პასუხისმგებელმა პირმა გვითხრა, რომ გაზით მომარაგებაში წყვეტილობა გამოწვეულია იმით, რომ არ გვყავს მანქანები. როცა შევეკითხეთ, მივმართოთ თუ არა სხვა ორგანოებს, მან გვიპასუხა: ვისაც გინდათ, იმას მიაკითხეთო.

გთხოვთ დაგვეხმაროთ.

**სოფელ ალპანის მცხოვრებლები.**

* * *

**წერილი** რეაგირებისათვის გავუგზავნეთ ცაგერის რაიგაზის სამმართველოს უფროსს **თ. ჩაკვეტაძეს**, რომელმაც გვიპასუხა:

სოფელ ალპანის რეგიონში თხევადი გაზის მიწოდების საქმეში მართლაც გვქონდა შეფერხება ორი თვის განმავლობაში, რაზეც სოფლის მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს. შეფერხების მიზეზი კი ის იყო, რომ ალპანის რეგიონში მიმაგრებული მანქანა და კიდევ ოთხი მანქანა ერთდროულად გამოვიდა მწყობრიდან, ამას დაემატა მწვავე დეფიციტი ბენზინზე.

მაგრამ გაცნობებთ, რომ ალპანის რეგიონზე მიმაგრებული მანქანა 27 ნოემბრიდან გამოვიდა სამუშაოდ და ყოველდღიურად ეზიდება გაზს.

რაც შეეხება მათთვის არადამაკმაყოფილებელი პასუხის მიცემას სამმართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან ასეთი რამ არ ყოფილა. უმჯობესია დაგვისახელონ პიროვნება კონკრეტულად.

* * *

**რედაქციისაგან:** გვესმის, რომ შეფერხებებია ბენზინის მიწოდებაში, მანქანებიც ერთდროულად (?!) გამოსულა მწყობრიდან, მაგრამ ასე ნუ დავიბანთ ხელს პასუხისმგებლობისაგან. არამარტო ალპანის რეგიონში, მთელ რაიონში ორი-სამი თვეა ასე გაჭირვებულია ადამიანები. ვიმეორებთ სიძნელეები არის, მაგრამ ყველაზე დიდი მიზეზი ადამიანთა გულისტკივილის არად ჩაგდებაა.



კრასნოდარის მხარე. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აგროსამრეწველო კომბინატმა „ყუბანმა“. 1984 წლიდან, პროდუქციის წარმოება ერთი მესამედით გაიზარდა. კომბინატი აერთიანებს 70 საწარმოს, დაწესებულებას, საპროექტო ინსტიტუტს, სამშენებლო, სავაჭრო, სხვა ორგანიზაციებს. იგი ორგანიზებას უკეთებს პროდუქციის წარმოებას, დამზადებას, გადამუშავებას, შენახვასა და რეალიზაციას.

„ყუბანში“ არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ოჯახური კოლექტივები, საიჯარო, სააქციო და სახალხო საწარმოები. ეს უკანასკნელნი კომბინატმა სახელმწიფოსაგან შეისყიდა.

სურათზე: აგროკომბინატ „ყუბანის“ საკონდიტრო ფაბრიკა. ნამცხვრის დამამზადებელი ტექნოლოგიური ხაზი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## ლეჩხუმის ციხეები და სალოცავები

**ლეჩხუმს საოცრად მდიდარი ისტორია აქვს, მის ციხეებს, ეკლესიებს, სალოცავებს ჩვენი ერის ღრმა წარსულში აქვთ ფესვები გადგმული. მაინც რა ვიცით ჩვენი მხარის ისტორიული წარსულის შესახებ? ბევრი არაფერი, რადგან ნაკლებად ინტერესდება ვინმე მისით, არც მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა გაგვაჩნია. არადა, „ვინც იხილავს ლეჩხუმის მშვენებას: სარეწკელას და ორპირის კლდეკარებს, ლაჯანურის ხეობას, მურის, ორბელის, გვეშოს ციხეებს—ის პოეზიის ერთგული დარაჯი იქნება მუდამ!“ (ლადო ასათიანი). ჰოდა, ჩვენო ლეჩხუმელებო, ნუ დავკარგავთ ამ მდიდარ განძს, ჩვენს სიამაყეს და სიდიადეს.**

**ჩვენი გაზეთი დღეიდან იწყებს ახალი ისტორიული ციკლის—„ლეჩხუმის ციხეები და ეკლესიები“—ბეჭდვას. ამ ციკლში პერიოდულად გაგაცნობთ ლეჩხუმის ციხეების, ეკლესიების, სალოცავების მდიდარ ისტორიულ წარსულს. ალბათ თქვენც ჩვენთვის უცნობი ბევრი ლეგენდა თუ გადმოცემა გეცოდინებათ მათ შესახებ, ნუ დაიზარებთ კალმის ხელში აღებას, მოგვწერეთ, შეგვეხმიანეთ და ჩვენც მათ შორის საინტერესოებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დავუმკვიდრებთ ადგილს.**

# ხვამლის წმინდა

ხვამლის მთაზე იყო დიდად განთქმული ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესია. 1886 წ. ჟურნალ „მწყემსში“ მღვდელი იოანე თაგვაძე წერდა: „ამ თვალუწვდენელ კლდის თავზედ არის ნანგრევი ეკლესიისა... გალავანი ეკლესიისა არის ქვის... ამ გალავნის ირგვლივ არიან ქვის სახლები, ზოგი მათგანი თითქმის ახლაც ვარგა კაცის დასადგომად...“ 1910 წელს ახალი ეკლესიის შენების დროს უნახავთ წარწერიანი ქვები, რომლებიც ახლა ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია. ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „წმინდაო გიორგი მეოხ და მფარველ ექმენ ერისთავთერისთავსა ენს (ეოანეს? ელარიონს?) სულითა და შვილთა მისითა.“ წარწერა მე-12-მე-13 საუკუნეებს ეკუთვნის, რაც ხვამლის ძველი ეკლესიის აშენების თარიღსაც განსაზღვრავს. უნდა ვიფიქროთ, აქ რაჭისა და თაკვერის ერისთავთერისთავი იხსენიებოდა კახაბერის ძეთა საგვარეულოდან.

ვახუშტის გადმოცემით, ხვამლის კლდეში „არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“. ეს მიუვალი გამოქვაბულები შორიდანვე მოჩანს.

1263-64 წლებში საქართველოში ორმეფობის შექმნისას, ნარინ და ულუ დავითმა „განყვეს სამეფო და საჭურჭლენი, გარნა ხუამლისა ქუაბსა რომელი იდვა მცირე გამოიღეს და გაიყვეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევესო“, მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი.

ცხადია, ეს ფაქტი რომანტიკულობის ბურუსს მატებდა ხვამლის მთას და ხალხურ თქმულებებს ასაზრდოებდა. 1940-იან წლებში ხვამლის ქვაბები ალპინისტურ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ კარსტული წარმოშობისა და შემდეგ გაფართოებული მთავარი გამოქვაბული, რომელშიც წყარო გამოდის, წინიდან მოზღუდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით. აქ სხვადასხვა სიმაღლეზე დატანებულია სარკმლები და საჭვრეტები. შიგნით ორი-სამი სართულია გამართული. ამ ქვაბის ზემოთ, კლდეში გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელად შესასვლელი გამოქვაბული, რომელშიც საჭურჭლე უნდა შენახულიყო. ქვემოთაცაა გრძელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ შეხვდნენ ზამთარს

# პატარები თბილად არიან

ზამთრის მოახლოებამ პრობლემათა მომძლავრებაც თან ახლავს, რადგან საკმაოდ ბევრ სიძნელეთა პირისპირ გვიხდება დადგომა. ამიტომ ემატებათ საზრუნავი საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა გვმართებს საბავშვო დაწესებულებათა მიმართ. ამიტომაც ყველამ — განათლების განყოფილებამ, რაიკოოპერატივის ხელმძღვანელებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, საბავშვო ბაღებისა და ბაგების ხელმძღვანელებმა, აღმზრდელ-პედაგოგებმა — უნდა გაითავისოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა სატკივარი და მხარში ამოუდგეს მათ.

იმის გასაგებად, თუ როგორ მოემზადენ ზამთრისათვის, რა პრობლემები აქვთ, რა აწუხებთ, 3 დეკემბერს ვესტუმრეთ ცაგერის №2 ბაგა-ბაღს. ჩვენი თვალით ნახულმა, გამგესთან ციცინო მუშკუდიანთან და აღმზრდელ პედაგოგებთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ დღესდღეობით აქ აღზრდის, დასვენების მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს 6 ჯგუფი 170 ბავშვით. აქედან ერთი ექსპერიმენტული პირველი კლასი 29 მოსწავლით, ბაგის 3 ჯგუფი 1-დან 3 წლამდე ასაკის 40 ბავშვით და ბაღის 3 ჯგუფი 100 ბავშვით, მატერიალური ბაზის მხრივ კარგი პირობებია. ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილია სამეცადინო, საძილე, სასადილო, გასართობი ოთახებით, საჭირო სათამაშოებითა და დგამ-ავეჯით. ყველგან სანიმუშო სისუფთავეა.

ბაგა-ბაღს აქვს საკუთარი ცენტრალური გათბობა. დროულად მიუღიათ ზომები საქვაბე მეურნეობის მოსაწესრიგებლად. ცენტრალური გათბობა ნორმალურად მუშაობს, შემოზიდულია 60 ტონა, ზამთრისთვის საკმარისი ქვანახშირი. ყველა ჯგუფში დგას თუნუქის ღუმელი, შემოზიდული, დამუშავებული და გადახურულში შენახულია 40 კუბური მეტრი შეშა, რომ ცენტრალური გათბობის შეფერხების შემთხვევაში ბავშვებს სითბო არ მოაკლდეთ. ასე რომ პატარები თბილ, ნათელ, კრიალა ოთახებში შესანიშნავად გრძნობენ თავს, მაგრამ საჭიროა დროულად იქნეს მიღებული ზომები გადამწვარი ელექტროძრავების წესრიგში მოსაყვანად. საქმე ის არის, რომ საქვაბეში დღეისათვის 2 ცალი მოქმედი ძრავა აქვთ, მათი გადაწვის შემთხვევაში რეზერვი არ არის, რაც გამოიწვევს თბობის შეფერხებას. ამასთან საქვაბე მეურნეობაში შესარემონტებელია ელექტრომეურნეობა. ბაგა-ბაღის გამგემ ც. მუშკუდიანმა გვითხრა, განათლების განყოფილებისა და სასოფლო საბჭოს დახმარებით ამ საკითხებს მალე მოვაგვარებთო და შეფერხების არ ეშინიათ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ პედაგოგებს საფიქრალიც აქვთ. ყველაზე მტკივნეული მათთვის ამჟამად პროდუქტების პრობლემაა. მაისიდან ბაგა-ბაღს არ მიუღია რძე და რძის პროდუქტები, წყვეტილობაა ხორცითა და ზოგიერთი სხვა პროდუქტით მომარაგებაშიც.

ბაგა-ბაღს კვების პროდუქტებით ამარაგებს რაიკოოპერატივი. საერთოდ, ჩვენს ეკონომიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო გაცილებით მცირეა შესაძლებლობა სრულყოფილად მოამარაგოს საბავშვო დაწესებულებები. მაგრამ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, უზრუნველყონ ბავშვები ხორცით, დადგენილი კვების რაციონით.

მართალია, ამჟამად საბავშვო ბაგა-ბაღს აქვს ხორცი, კარტოფილი, ტომატი, ხახვი, ნიორი, სხვადასხვა ბოსტნეული, აგრეთვე ხილეულიდან ვაშლი, აქვთ კარაქი, შაქარი, ბრინჯი, მაგრამ არ აქვთ ისეთი სათავსო, რომ ზამთრის მარაგი გაიკეთონ. სამწუხაროდ, არ აქვთ მაკარონი, ვერმიშელი, ხილის წვენები, კვერცხი, კომპოტები, კისელის ფხვნილი.

დღე და ღამე უნდა გავასწოროთ, რომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს არ მოაკლდეთ გათბობა, კვება, გართობა. ეს ჩვენი მოვალეობაა.

**ვლ. დავითულიანი.**

# ახალი საპენსიო კანონი

## იგი ძალაში შევა 1991 წლის 1 იანვრიდან

**მშრომელთა** საპენსიო უზრუნველყოფის ისტორიაში ახალი საპენსიო კანონი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა. პირველი საპენსიო კანონის მიღების შემდეგ განვლო 34-მა წელმა. ახალი საპენსიო კანონი, რომელიც მიმდინარე წლის 15 მაისს მიიღეს, თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბით ბევრად აღემატება პირველ კანონს. ამით გარკვეულად სწორდება ის სოციალური უსამართლობა, ის არასწორი თანაფარდობა, რომლებიც აქ უკანასკნელ წლებში შეიქმნა საშუალო ხელფასსა და საშუალო პენსიას შორის.

ეგრეთ წოდებული „მცირე კანონის" შესახებ, რომელიც უკვე განხორციელდა, ჩვენ თავის დროზე ადგილობრივი რადიოგადაცემისა და პრესის საშუალებით ვაცნობეთ რაიონის მოქალაქეებს, რომ 1990 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ახალი საპენსიო კანონის შემდეგი ეტაპი. ამ დროიდან გადაანგარიშებას ექვემდებარება:

**ინვალიდობით პენსიები,** რომლებიც დანიშნული აქვთ ბავშვობიდან ინვალიდებს, სამამულო ომის პერიოდში საომარი მოქმედების ანდა მასთან დაკავშირებული მიზეზით მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების- ან კონტუზიის შედეგად.

**მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები** — დანიშნული უდედმამო ბავშვებისათვის.

**ყველა სახის პენსია,** რომელიც დანიშნული აქვთ ინვალიდი ბავშვების (ბავშვობიდან I-II ჯგუფის ინვალიდების) დედებს.

**ასაკით პენსიები,** რომლებიც დანიშნული აქვთ ქვანახშირის, მეტალურგიული და სხვა დარგის საწარმოებისა და მშენებლობის მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთათვისაც დადგენილია გადიდებული მაქსიმალური ოდენობის პენსიები.

ამ ეტაპზე 1990 წლის 15 მაისის კანონი სხვა კატეგორიის პენსიონერებზე ძალაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ ნორმების ნაწილში:

ა) რომელიც განსაზღვრავს მინიმალური პენსიების ოდენობას და სოციალური პენსიების დანიშვნას.

ბ) რომელიც არ ეხება შრომითი პენსიების სხვა ოდენობებს. „სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესაბამისად 1991 წლის 1 იანვრიდან გადაანგარიშებას ექვემდებარება: **ინვალიდობის პენსიები,** დანიშნული სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების და რიგითი შემადგენლობის პირებისათვის, რომლებიც დაინვალიდდნენ უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული დასახიჩრებით, რაც დაკავშირებული არ არის სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებასთან, ანდა დაავადებასთან, რაც დაკავშირებული არ არის ფრონტზე ყოფნასთან და საომარი მოქმედების ქვეყნებში ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებასთან.

**მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები,** დანიშნული იმ სამხედრო მოსამსახურეთა, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირების ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც გარდაიცვალნენ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად.

ახალი საპენსიო კანონის იმ ნაწილიდან, რომელიც ძალაში 1991 წლის 1 იანვრიდან შედის, ჩვენი რაიონის სინამდვილეში მოქალაქეებმა გვინდა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ახლად შემოღებულ სოციალურ პენსიებზე.

სოციალური [illegible] ბათ და ეძლევათ [illegible] მოქალაქეებს, თუ მათ არ აქვთ შრომის პენსიის უფლება:

— I და II ჯგუფის ინვალიდებს, მათ შორის ბავშვობიდან ინვალიდებს, აგრეთვე III ჯგუფის ინვალიდებს;

— პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ: მამაკაცებს — 65 წელი, ქალებს — 60 წელი;

— ბავშვებს მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში;

— ინვალიდ ბავშვებს 16 წლის ასაკამდე.

სოციალური პენსიები ენიშნება შემდეგი ოდენობით:

ა) I ჯგუფის ინვალიდებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს ბავშვობიდან და ინვალიდ ბავშვებს 16 წლის ასაკამდე — მინიმალური ასაკობრივი პენსიის 100 პროცენტის ოდენობით (70 მანეთი).

ბ) II ჯგუფის ინვალიდებს (ბავშვობიდან ინვალიდების გარდა), პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ: მამაკაცებს 65 წელი, ქალებს — 60 წელი, ბავშვებს მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში (თითოეულ ბავშვზე) მინიმალური ასაკობრივი პენსიის 50 პროცენტი (35 მანეთი).

გ) III ჯგუფის ინვალიდებს — ასაკობრივი პენსიის მინიმალური ოდენობის 30 პროცენტი (21 მანეთი).

გმირ დედებს სოციალური პენსიები ენიშნებათ ყველა შემთხვევაში არანაკლებ ასაკობრივი პენსიის ოდენობის 100 პროცენტი (70 მანეთი).

მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ სოციალური პენსიის დასანიშნად აუცილებელი ზემოთჩამოთვლილი პირობები, ვთხოვთ დროულად მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას 1991 წლის 1 იანვრისათვის აღნიშნული სახის პენსიის შეუფერხებლად დანიშვნის მიზნით.

**ნ. ცვარიანი,**

**რაისოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე.**

# გიორგის ეკლესია

განიერი ბაქანი გამოკვეთილი, თავის დროზე წინიდან აზღუდული და განივრად დატიხრული, ეს მრავალსენაკიანი, ქვითკირაგურით ამოყვანილი ნაგებობა მცველი რაზმის სადგომად არის მიჩნეული. ამ ბაქანზე ხხრისას თავი იჩინა კერპთა ნაშთებმა და ჩვეულებრივმა მოუჭიქავმა კერამიკამ. ესოდენ მიუვალი საგანძურის მოწყობა უფრო მე-13 საუკუნეში უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც საქართველოში განუწყვეტელმა შიშიანობამ დაისადგურა (ჯალალ-ად-დინი, მონგოლები).

ხვამლის წმინდა გიორგის, ლეჩხუმის ერთ მთავარ სალოცავთაგანს, სხვადასხვა სოფლის ყმა-მამული ემსახურებოდა. „წმინდისა გიორგის ხომლისა ტაძარს" სწირავდნენ ჯვარ-ხატებს, გლეხებს, გადასახადებს, ადგილ-მამულებს, ამავე დროს ეს ეკლესია ცაგერის ღვთისმშობელს ემორჩილებოდა, როგორც ლეჩხუმის საეპისკოპოსო კათედრას. ამიტომ შეწირულების წიგნებში აღინიშნებოდა: „ცაგერის ღვთისმშობელო და წმინდაო გიორგი ხვამლისაო თქვენთვის შემომიწირავს..." ან „ცაგერისა ღვთისმშობლისათვის და მის მიერ ხვამლის წმინდისა გიორგისათვის... შემოგვიწირავსო". ხვამლის კუთვნილი გლეხები ცხოვრობდნენ ტვიშში, უსახელოში, ჩხუტელში, ცხუკუშერში, ზუბში, ოყურეშში, ხოჯსა და სხვა.

ხვამლთან მეტი სიახლოვის გამო, სოფელ ოყურეშში, ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე იყო უმეტესი მამული ხვამლის წმინდა გიორგისა: ქვარიანისეული „სასახლე გაწყობილი საჯვარითა, საჯალაბოთა, ჭურ-მარნითა, ზვრითა, მისის ყანითა, სათიბითა, საწისქვილოთი", 7 კომლი გლეხი ცოლ-შვილითა და სახლკარით, ტბა ბაბუშერი, ჯანოულას ხევში ორი მეთევზე გლეხით და ზუბის ციხე თავისი გლეხებით. ეს უკანასკნელი ალექსანდრე იმერთა მეფეს მიუცია გაბრიელ ცაგერელისათვის, რომელსაც მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ზუბის ციხე ხვამლის წმინდა გიორგისათვის შეუწირავს. აქ ალბათ ამ ციხისადმი დაქვემდებარებული გლეხებისა და მათი სამსახურის შეწირვა იგულისხმება.

ხვამლის გავლენით იყო, რომ მის მახლობელ უმეტეს სოფლებში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები იდგა. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა: ყოველთვის ყველა ვერ ახერხებდა ხვამლში მთაზე სალოცავად ასვლას... ასეთივე ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისა იყო ოყურეშშიც, სადაც ხვამლის ეკლესიის დანგრევის შემდეგ, გადმოიტანეს იქაური ჯვარ-ხატებისა და ნივთების უმრავლესობა.

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით ოყურეშის ეკლესიის შიგნით მოთავსებული ყოფილა 1788 წელს შესრულებული წარწერიანი ქვა: „მხნეო მხედარო შვიდწილ უძლეველო წმინდაო გიორგი მე ულირსი მცირედ ღვაწლისა დამდები ეკლესიისა შენისა აღშენებისათვის დადიანი ოტიას ძე ბატონიშვილი გიორგი გევედრები, რათა მეოხ მექმენ მეუღლით ძით და ასულით აქაცა და მერმესა მას საუკუნესაც"... ოყურეშის ეკლესია უკვე 1700-1714 წლების ცაგერის საეკლესიო საბუთში იხსენიება, დღეს მისგან მხოლოდ საძირკველია დარჩენილი.

* * *

მიმდინარეობს ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი სამანქანო გზის მშენებლობა. იმედია მალე ნებისმიერ ჩვენგანს ექნება საშუალება თავისუფლად ესტუმროს ამ შესანიშნავ კულტურისა და რელიგიის ძეგლს.

**მასალა მომზადებულია წიგნის „ლეჩხუმი" მიხედვით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წაიკითხეთ მოცალეობის ჟამს

# თუ გულახდილად უპასუხებთ...

გემუქრებათ თუ არა ნერვული გადაღლა? ამის შესახებ თქვენ შეიტყობთ, თუ უპასუხებთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტესტის კითხვებს.

1. გიჭირთ თუ არა მიმართოთ ვინმეს დახმარებისთვის?

კი, ყოველთვის (3), ძალიან ხშირად (2), ხანდახან (0), ძალიან იშვიათად (0), არასოდეს (0).

2. ფიქრობთ თუ არა საკუთარ პრობლემებზე მაშინაც კი, როცა ისვენებთ?

ძალიან ხშირად (5), ხშირად (4), ხანდახან (2), იშვიათად (0), არასოდეს (0).

3. როცა ადამიანს რაიმე არ გამოსდის, თუ გიჩნდებათ სურვილი დაეხმაროთ მას?

კი, ყოველთვის (5), ძალიან ხშირად (4), ხანდახან (2), იშვიათად (0), არასოდეს (0).

4. დიდხანს განიცდით კონფლიქტებს?

კი, ყოველთვის (5), ხშირად (4), ხანდახან (2), იშვიათად (0), არასოდეს (0).

5. რამდენ დროს უთმობთ საკუთარ თავს საღამოობით?

სამ საათზე მეტს (0), ორი-სამი საათი (0), ერთი-ორი საათი (0), საათზე ნაკლები (2), არცერთი წუთი (4).

6. ხშირად აწყვეტინებთ ვინმეს საუბარს წვრილმანების მოყოლისას?

ყოველთვის (4), ხშირად (3), გააჩნია სიტუაციას (2), ხანდახან (1), არასოდეს (0).

7. თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან ჩქარობთ...

ეს ასეა (5), ხშირად ვჩქარობ (4), ხანდახან (1), მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (0), არასოდეს (0).

8. ხდება თუ არა, რომ ხშირად საუბრისას სულ სხვა რამეზე ფიქრობთ?

ძალიან ხშირად (5), ხშირად (4), ხდება (3), იშვიათად (0), არასოდეს (0).

9. ხშირად გეჩვენებათ, რომ ადამიანები მოსაწყენ და უაზრო საგნებზე საუბრობენ?

ძალიან ხშირად (5), ხშირად (4), ხანდახან (1), იშვიათად (0), არასოდეს (0).

10. გიხდებათ თუ არა ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება?

ძალიან ხშირად (5), ხშირად (4), ხანდახან (3), იშვიათად (1), არასოდეს (0).

11. გიყვართ რჩევების მიცემა?

კი, ყოველთვის (5), ხშირად (3), ხანდახან (1), არასოდეს (0).

12. ხშირად ყოყმანობთ გადაწყვეტილების მიღებისას?

კი, ყოველთვის (3), ძალიან ხშირად (2), ხშირად (1), იშვიათად (3), არასოდეს (0).

13. როგორ საუბრობთ?

აჩქარებულად (3), სწრაფად (2), მშვიდად (0), ნელა (0), ღირსებით (0).

ახლა კი შეკრიბეთ ქულები.

**45-დან 63 ქულამდე:** ნერვული აღგზნება თქვენთვის სერიოზული საფრთხეა. გაიზომეთ სისხლის წნევა, სისხლში ქოლესტერინის შემცველობა, ხომ არ არის დრო, შეიცვალოთ ცხოვრების წესი?

**20-დან 44 ქულამდე:** ცხოვრებას უფრო მშვიდად უნდა მოეკიდოთ. შინაგანად მოეშვათ, მოიხსნათ დაძაბულობა.

**19 ქულამდე:** თქვენ შეგწევთ უნარი შეინარჩუნოთ სიმშვიდე და წონასწორობა, ეცადეთ მოერიდოთ აღელვებას, რადგან ეს სოცრად არ გიხდებათ, ნუ მიიღებთ ტრაგედიად ნებისმიერ წარუმატებლობას.

**0 ქულა:** თუ თქვენ უპასუხეთ გულახდილად, მაშინ ერთადერთი საშიშროება, რომელიც გემუქრებათ, ზედმეტი სიმშვიდე და მოწყენილობაა.

# რა არ ხდება

შვეციის სამხრეთით მდებარე სკონის ოლქში საოცარი ამბავი მოხდა.

ახალდაბადებულ გოგონას დედმამამ სახელი შეურჩია, მაგრამ ადგილობრივმა მღვდელმა მონათვლაზე უარი განაცხადა. მაინც რა იყო მიზეზი? სახელი, დიახ, სახელი, მოკლე და მყვირალა — სტალინა.

მშობლებმა „თვითნება" პასტორს ქალაქ ლუნდის სასამართლოში უჩივლეს. სასამართლო საკითხს ლიბერალურად მიუდგა და უარყო პასტორის გადაწყვეტილება. მღვდელი კი ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ბავშვს მისცე ისეთი სახელი, რომელიც მას შემდგომ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს, მით უმეტეს, რომ მშობლებს ზემოთ დასახელებული სახელის გარდა სურდათ შვილისთვის კიდევ ერთი სახელი — ადოლფინა დაერქვათ.

* * *

ყველაზე ხანდაზმული მძღოლი მსოფლიოში, რომელმაც თავისი სიცოცხლის მანძილზე 1 მილიონი მილი გაიარა, გახლავთ ინგლისელი ჯონ მელდუმი. მან თავი დაანება მანქანის მართვას მას შემდეგ, რაც პოლიციამ დააჯარიმა გაუფრთხილებლობისათვის. ეს იყო პირველი შემთხვევა 70 წლის მანძილზე, მას ხომ 101 წელი შეუსრულდა.

## რჩევა დიასახლისებს

აიღეთ ყველი, დაჭერით ნახევარი სანტიმეტრის სისქის ერთნაირი ზომის ოთკუთხედებად, ამოსვარეთ პურის ფქვილში, ათქვეფილ კვერცხში, მოაყარეთ ორცხობილას ფხვნილი და შეწვით კარაქში.

4 ულუფისთვის საჭიროა: 300 გრამი ყველი, 2 ცალი კვერცხი, 1 ჭიქა ორცხობილას ფხვნილი და 100 გრამი კარაქი ან ერბო.

## გასწორება

გაზეთ „ლეჩხუმში" გამოქვეყნდა წერილი „ჩვენი პრობლემები ყველამ გავითავისოთ", რომელშიც დაშვებულია მცირე ტექნიკური შეცდომები:

სტატიის პირველი სვეტის 21-ე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „178,8 ათასი მანეთი და არა 17,68 ათასი მანეთი".

მეორე სვეტის 34-ე სტრიქონი — ასე: ჯონოულის ხიდი-ჩქუმი, ალვის ხიდი — მუშკუდიანების უბანი, ცაგერი-გვესო-გველემბარი.

ამავე სვეტის 42-ე და მე-3 სვეტის 49-ე სტრიქონში უნდა იკითხებოდეს: მცირემალიანი და არა მცირეძალიანი.

მე-3 სვეტის 47-ე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: ნაკურალეშის გზის კაპიტალური შეკეთება და არა ნაკურალეშის გზების შეკეთება.

## მოთმინებასაც საზღვარი აქვს

იტყვიან, მოთმინება ჯობსო, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. რა ხანია, ყველას თავი მოაბეზრა ავტოსადგურზე ლაპარაკმა, რაიონულ გაზეთშიც დაიწერა ბევრჯერ, მაგრამ ვინაა გამკითხავი. ნუთუ იმას მაინც არავინ ფიქრობს, რომ ლეჩხუმის სტუმარი პირველად ავტოსადგურს იხილავს და პირველი შთაბეჭდილება ჩვენს კულტურასა და ყოფაზე სწორედ აქედან ექმნება. მეტი რომ არა, სირცხვილია, წლები მიდის და ავტოსადგური, რომელიც ასე ლამაზ არქიტექტურულ სტილში გადაწყვეტილ სურათების გალერეასა და რესტორან „ცაგერს" შორისაა, ასე გაძარცული და გაუერანებული გამოიყურება. ადრე რაც გაკეთდა, ისიც გაჩანაგდა და დაინგრა. იყო პერიოდი, როცა შიგ მაცივრებისა და ტელევიზორების შემკეთებელი საამქროს მუშაკები შეასახლეს, რა ენაღვლებოდათ, 7 წელი უფასოდ ეჭირათ შენობა, შიგ თუ გარეთ განუკითხავად ყრია გამოშიგნული ტელევიზორები და სარეცხი მანქანები. თქვენს გაზეთში კი იწერებოდა და იწერება წერილები, ამათრახებდნენ ავტოსადგურს, ნაგავში ზიანო, უსუფთაობას ვერ ამჩნევენო, არც იმას უყურებს ვინმე, რომ ვგვით. მაგრამ საკითხავია, რატომ გვევალება ჩვენ იმ ქუჩების დაგვა, ავტოსადგურს რომ აკრავს, ხელფასს ვინღა იღებს? ყველაზე დიდ სიძნელეს მაინც ტუალეტის არქონობა იწვევს. ახლა მაინც რესტორანი დაკეტილია და არსად ამ ტერიტორიაზე ტუალეტი არ არის.

ყოველივე ამის შემყურემ ბევრი ვიარეთ ქუთაისსა და ცაგერს შორის და ძლივძლივობით მივაღწიეთ იმას, რომ ქუთაისის საავტომობილო სამმართველომ ცაგერის ავტოსადგურის კეთილმოწყობისათვის 5000 მანეთი ჩამოგვირიცხა, 5000 მანეთის ჩამორიცხვას კიდევ დაგვპირდნენ, ოღონდაც მაშინ, როცა მშენებლობა დაიწყებოდა. მაგრამ უკვე 7 თვე გავიდა მას შემდეგ, ამისთვის თავს არავინ იტკივებს.

გვაინტერესებს კიდევ ერთი რამ, თავდაპირველად, ვიდრე აქ, ამ ძველისძველი აბანოს შენობაში შეგვასახლებდნენ, სადგური ქალაქის ცენტრში, სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული. არ გაგვაჩერეს იმ მოტივით, რომ აქ მანქანების დგომა არამც და არამც არ შეიძლებაო. მაგრამ ალბათ ყველა თქვენთაგანი კარგად ხედავს, მთელი დღე აქ რა სახის მანქანა არ დგას, ამასთან ექსპრესი ცაგერი-თბილისის სადგომიც აქაა.

გვესმის ხალხის აშკარა, გაუთავებელი ლანძღვა-გინება ჩვენი მისამართით, ასე ჰგონიათ, ჩვენ (ორი ვმუშაობთ ერთ საშტატო ერთეულზე). შეგვეძლოს ყველაფრის გადაწყვეტა. ისინიც ხომ სწორი არიან ერთის მხრივ, ამ სიცივეში მთელი დღით დგანან უფანჯრო, გაყინულ-ჩამონგრეულ კედლებში.

ერთი სიტყვით, უკიდურესია ჩვენი მდგომარეობა. იქნებ ვინმე გამოჩნდეს მადლიანი და მოგვხედოს.

**ვენერა ახვლედიანი,**
ავტოსადგურის მოლარე.

### გილოცავთ

**სოფო აკაკის ასულ გვიშიანს**
**სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევი სიხარულითა და სიყვარულით გაგევლოთ ცხოვრების გზა, გემრავლებინოთ ქართველი ერი.

**ნუნუ ჯიაძე, თამილა მეგრელი, ლია ყურაშვილი, ტარიელ სალინაძე, სეით ქომეთიანი, ასკალო ლეთოდიანი, მაიზერ ახვლედიანი.**

**მაკა კენჭაძეს**
**მინდია მურცხვალაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას და ბედნიერ ცხოვრებას თავისუფალ საქართველოში.

**თეა მურცხვალაძე, ქეთინო ხვისტანი, ნინო ფოჩხიძე.**

**სოფო აკაკის ასულ გვიშიანს**
**სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. პატიოსნებით, წინდახედულებით, სულგრძელობით გევლოთ ცხოვრების რთულ სავალ გზებზე.

**ძმუ, ვაჟა ჭაბუკიანები, დათო, დალმანდი ჩხეტიანები ოჯახებით.**

### გილოცავთ

**ნინო სილაგაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზრდილიყო კარგი ქართველი ქალი, გაეხარებინოს შენი ახლობლების გული.

**ცაგერის საშუალო სკოლის VIII ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე.**

**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ქნელაძე.**

ორბელის საშუალო სკოლის XI (ა) კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ მზია ბურჯალიანს ბებიის

**გოგუცა ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

ორბელის საშუალო სკოლის ტექნიკური ჯგუფის მოსწავლეები, ხელმძღვანელები თემურ ბურჯალიანი და ბუდუ ქობულაძე თანაუგრძნობენ ნათელა ბურჯალიანს ბებიის

**გოგუცა ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

დეიდაშვილები თინა, რუსუდან ომანაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგუცა დავითულიანი-ბურჯალიანი**

ორბელის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო და ამირან გვიშიანებს ბაბუის

**გრიგოლ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.